*საჯარო სამართლის იურიდიული პირი -*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

---

*ბრძანება N01-* 08/104

*ქ. ბათუმი* 21 *აგვისტო, 2018 წ.*

**2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის**
**რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, **,,ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ"** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის N64 დადგენილების საფუძველზე

*ვბრძანებ:*

1. 2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

   1.1. განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობების გაერთიანებული სხდომის (ჩატარებული 2018 წლის 18 სექტემბრიდან -21 სექტემბრის ჩათვლით) გადაწყვეტილების გათვალისწინებით **2018 წლის 24 სექტემბერს ჩატარდეს ამ ფაკულტეტების საბჭოების გაერთიანებული სხდომა**, რომლის დღის წესრიგის შემადგენელი საკითხები უნდა იყოს:

   ა) განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული **ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;**

   ბ) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა;**

   გ) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების **ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა;**

დ) 2018 წლის ივლისში ჩატარებული არჩევნების შედეგებისა და კონკურსში გამარჯვებულ პირებთან დადებული შრომის ხელშეკრულებების გათვალისწინებით ფაკულტეტებზე 2018 წლის 17 სექტემბრიდან ვაკანტური საშტატო ერთეულების გაუქმების თაობაზე;

1.2. **იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** სტუდენტური თვითმმართველობების გაერთიანებული სხდომის (ჩატარებული 2018 წლის 18 სექტემბრიდან - 21 სექტემბრის ჩათვლით) გადაწყვეტილების გათვალისწინებით **2018 წლის 24 სექტემბერს** ჩატარდეს ამ ფაკულტეტების **საბჭოების გაერთიანებული სხდომა**, რომლის დღის წესრიგის შემადგენელი საკითხები უნდა იყოს:

ა) იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული **იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;**

ბ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა;**

გ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა **ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა;**

დ) 2018 წლის ივლისში ჩატარებული არჩევნების შედეგებისა და კონკურსში გამარჯვებულ პირებთან დადებული შრომის ხელშეკრულებების გათვალისწინებით ფაკულტეტებზე 2018 წლის 17 სექტემბრიდან ვაკანტური საშტატო ერთეულების გაუქმების თაობაზე.

1.3. „ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი **საბჭოს** 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების გადაწყვეტილების აღსრულებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **დეკანების მოვალეობის შემსრულებლებმა** არაუგვიანეს 2018 წლის 27 სექტემბრისა **წარმოადგინონ სამსახურებრივი ბარათები** თანდართული სიებით:

ა) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა - განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის როგორც აქტიური, ასევე შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების შესახებ (პირადობის ნომრების, ჩარიცხვის წელის, სტუდენტის სტატუსის და სწავლების წელის მითითებით);

ბ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა - იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის როგორც აქტიური, ასევე შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების შესახებ (პირადობის ნომრების, ჩარიცხვის წელის, სტუდენტის სტატუსის და სწავლების წელის მითითებით);

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის და იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანების მოვალეობის შემსრულებლების მიერ წინამდებარე ბრძანების 1.3. პუნქტით განსაზღვრული სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით **ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ** (საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ) **მომზადდეს და წარმოდგენილი იქნეს** ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტი არაუგვიანეს 2018 წლის 28 სექტემბრისა:

ა) განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების 2018 წლის 24 სექტემბრიდან ამ ფაკულტეტების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტებად ჩათვლის თაობაზე;

ბ) იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების 2018 წლის 24 სექტემბრიდან ამ ფაკულტეტების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებად ჩათვლის თაობაზე;

გ) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **აკადემიური პერსონალის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის განსაზღვრის თაობაზე.**

1.4. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის და იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოების 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმების და დეკანების მოვალეობის შემსრულებლების მიერ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით **ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მომზადდეს** სამართლებრივი აქტების პროექტები:

ა) განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **აკადემიური და დამხმარე პერსონალის** 2018 წლის 24 სექტემბრიდან ამ ფაკულტეტების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პერსონალად ჩათვლის თაობაზე;

ბ) იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **აკადემიური და დამხმარე პერსონალის** 2018 წლის 24 სექტემბრიდან ამ ფაკულტეტების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალად ჩათვლის თაობაზე;

გ) განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებისათვის** 2018 წლის 24 სექტემბრიდან **უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე;**

დ) იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებისათვის 2018 წლის 24 სექტემბრიდან უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე;

ე) **იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილისათვის** 2018 წლის 24 სექტემბრიდან უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე;

ვ) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგში და ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**1.5.** ზუსტ მეცნიერებათა და განათლების **ფაკულტეტის დებულების პროექტი** (ფაკულტეტის სტრუქტურასთან ერთად) ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარდგენილი იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განსახილველად არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრისა, ხოლო შემდეგ წარედგინოს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.

**1.6.** იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა **ფაკულტეტის დებულების პროექტი** (ფაკულტეტის სტრუქტურასთან ერთად) ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარდგენილი იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განსახილველად არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრისა, ხოლო შემდეგ წარედგინოს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.

**1.7. ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს:**

ა) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (2018 წლის 10-25 სექტემბერი) ბსუ-ში 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთა ბსუ-ში რეგისტრაცია (ხელშეკრულებების გაფორმება, პირადი საქმეების გახსნა, ელექტრონული პირადი საქმეების შექმნა);

ბ) დარეგისტრირებული პირების 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის (სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან შეთანხმებით) მომზადება და წარმოდგენა არაუგვიანეს 2018 წლის 27 სექტემბრისა;

გ) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და სტუდენტურ პორტალზე პირველსემესტრელთა რეგისტრაცია და რეორგანიზებული ფაკულტეტის სტუდენტთა მონაცემების ცვლილებების რედაქტირება არაუგვიანეს 2018 წლის 28 სექტემბრისა;

**1.8.** ბსუ-ს ფაკულტეტების, მათ შორის რეორგანიზებული - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის - სტუდენტთა და პერსონალის რაოდენობისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადების გათვალისწინებით ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მიერ

არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრისა მომზადდეს სამართლებრივი აქტების პროექტები:

ა) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ;

ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ.

**1.9.** წინამდებარე ბრძანების 1.1. და 1.2. პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების დადგენილ ვადაში განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს და ფაკულტეტების მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

*რექტორი, ასოცირებული პროფესორი* *მერაბ ხალვაში*